MES 1 22 0001408009

04/11/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.10.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:17 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი
5. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	თინათინ ღუდუშაური	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	**I**
2	მაია ჩხეიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
3	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის სამსახურის უფროსი	**I**
4	ალექსანდრე რაქვიაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
5	ქეთევან გივიშვილი		სამართლის სკოლის ხარისხის მენეჯერი	**II**
6	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის სამსახურის უფროსი	**II**
9	მაკა ბერიძე	**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორი	**III**
10	ნინო მილაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**

11	ლევან მაკარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
12	მთავარეპისკოპოსი - სპირიდონი	**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობისსასწავლო უნივერსიტეტის**	წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი	**IV**
13	ნაილა ჩელებაძე		წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი	**IV**
14	ელზა ფუტკარაძე		წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**IV**
15	ნონა შუშანიძე		წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების დეკანი	**IV**
16	სამონაზვნე ბარბარე (ციალა მეგრელაძე)		წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
17	რომან აბაშიძე		მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო -სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
18	ხათუნა ხალვაში.		მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრ.) ხელმძღვანელი	**IV**
19	ია შალამბერიძე		იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	გიორგი მელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ირაკლი ჯანაშია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მილან პოლი (Milan Pol)	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	დიანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

10	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ჯოვანნა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სამართალი და ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის'" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი :

1. “სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სამართალი და ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის'" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ცენტრის წარმომადგენელს ლალი ოდიშვილის.
სიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ 2022 წლის 27სექტემბერს საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ან ასევე საბჭოს შეახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და სხდომაზე დამსწრე წევრებმა ზეპირი მოსმენის საფუძველზე, სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა მათი შინაარსიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე შეცვალა სტანდარტების შეფასება. კერძოდ, პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ გადაწყვეტილების ფორმულირებისას მოხდა ტექნიკური შეცდომა და 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილების 2.4 პუნქტში სტანდარტების შეფასების ცვლილება არ არის ასახული, შესაბამისად მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული გადაწყვეტილების 2.4. პუქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით: “2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 27სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა მათი შინაარსიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე შეცვალა სტანდარტების შეფასება. კერძოდ, პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.”
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრის წარმომადგენლის, ლალი ოდიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორია და საბჭოს წევრებთან წარდგენილ გადაწყვეტილების პროექტში ზემოაღნიშნული სტანდარტების ცვლილების შესახებ ინფორმაცია ასახული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილებაში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2022 წლის 11 ოქტომბრის ოქმი გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა “სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილებაში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2022 წლის 11 ოქტომბრის ოქმი გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ:
1.1 ოქმის პირველი საკითხის ზეპირი მოსმენის გადაწყვეტილების ნაწილში აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია: “აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა მათი შინაარსიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე შეცვალა სტანდარტების შეფასება. კერძოდ, პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
1.2. “სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სატრანსპორტო პროცესების საინჟინრო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 ოქტომბრის №1277401 გადაწყვეტილების 2.4 კომპონენტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 27სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა მათი შინაარსიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე შეცვალა სტანდარტების შეფასება. კერძოდ, პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“."

მეორე საკითხი. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია/Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.08.2021 N816181
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232, ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, მე-4 კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

აცილება დააფიქსირა ნათია ზედგინიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ საქართველოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2021 წელს 4 წლის ვადით და 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. აკრედიტაციის ექსპერტების და საბჭოს მიერ გამოთქმული იყო 18 რეკომენდაცია და რჩევები. პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად . 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 სტანდარტები იყო მეტწილ შესაბამისობაში ხოლო მე-3 სტანდარტი სრულად შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში, რაც ექსპერტმა დეტალურად განიხილა რეკომენდაციების მიხედვით. აქვე მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ იყო ინფორმაცია რჩევების შესრულების შესახებ, თუმცა ინფორმაცია იყო ყველა რეკომენდაციის შესახებ, როგორც შესრულების მხრივ, ასევე დაწესებულების პოზიციის შესახებაც. ასევე თქვა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა, მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაციაზე აქვთ საკუთარი პოზიცია, რაც ექსპერტმა დასკვნაში ასახა. მან დაამატა რომ რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულია უკვე ასახულია პროგრამის განახლებულ ვერსიაში, რომელიც წარმოადგინეს აკრედიტაციის საბჭოზე და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და პროგრამა ამ რეკომენდაციების მიხედვით არის რედაქტირებული და შეცვლილი. აქვე ექსპერტი შეეხო ერთ საკითხს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ მიღების წინაპირობად განსაზღვრულიყო ინგლისური ენის C1 დონე. ხოლო, დაწესებულება ფიქრობს, რომ B2 დონე ფარავს იმ საკითხებს და იმ ენობრივ კომპეტენციებს რაც უნდა ჰქონდეს დოქტორანტურის კანდიდატს, რათა ეს პროგრამა სრულყოს. ექსპერტმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ ეს ნამდვილად პოზიცია ნამდვილად საინტერესოა უსდ-ს მხრიდან და თქვა, რომ ეს არის სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიაში და არა სპეციფიურად მის რომელიმე დარგში ენების მიხედვით, ამიტომ შესაძლებელია ეს პოზიცია მისაღები იყოს ექსპერტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი მაკა ჩხეიძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას . მან საუბარი დაიწყო ზოგადად რეკომენდაციებზე და თქვა, რომ რეკომენდაციები ერთმანეთთან ლოგიკურად იმდენად ბმაში იყო რომ რომელიმე ერთი რეკომენდაციის გაზიარება ლოგიკურად გულისხმობდა შემდეგი რამდენიმე რეკომენდაციის გაზიარებას. რაც შეეხება მონიტორინგის ხარისხს, მისი თქმით ეს იყო კითხვარების საკითხი, რომელიც მოგვარებულია. გარდა კითხვარებისა იყო შემდეგი საკითხი დასმული - შედეგებისა და მიზნების მკაფიობის პრობლემა. რომელიც ასევე გაზიარებული იქნა და უკვე მოდიფიცირებული ვერსია წარმოდგენილი იყო. გაზომვა იმ შედეგებისა, რომლებიც უნდა ყოფილიყო სპეციფიცირებული

თავად სპეციალობის მოდულებში - ეს რეკომენდაციაც მთლიანად იქნა გაზიარებული, ამიტომ ეს გაზომვის მექანიზმებიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მიზნებისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანას არსებულ რეკომენდაციასთან, რომელიც სრულად იქნა გაზიარებული
.

არჩილ ჯანგირაშვილმა თქვა, რომ ამ 18 რეკომენდაციიდან პრინციპში ყველა გაითვალისწინეს. ერთადერთი იყო ის საკითხი, რაც ექსპერტმა აღნიშნა წინაპირობებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულებამ საკუთარი არგუმენტაცია მოახსენა დასაბუთებულად და ამ ყველაფერს მისი თქმით პროგრამის ხელმძღვანელი განავრცობდა. მეორე ვარიანტი იყო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი არა თუ არ იზიარებენ, არამედ ეს თავიდანვე რეკომენდაციის ჩაწერის მომენტიდან ტექნიკური ხარვეზი იყო, რადგან დაწესებულებას ეს კომპონენტი თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია აუცილებლად ითხოვს კომენტარს, რომელიც შეეხება C1-ის და B2-ის დიფერენცირების საკითხს. მან თქვა, რომ ამ საკითთან დაკავშირებით გარკვეულ კონსესუსამდე მივიდნენ, იმიტომ რომ აქ არ არის საუბარი რეკომენდაციის გაზიარება არ გაზიარებაზე, ვინაიდან ყველაზე მარტივი შესასრულებელი ამ რეკომენდაციებიდან იყო B2-ის C1-ით ჩანაცვლება, ეს ლამის ტექნიკური საკითხი იყო და ტესტის შეცვლა B2-ის C1-ზე არანაირ ინტელექტუალურ ძალისხმევას არ მოითხოვდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის, მაგრამ აკრედიტაციის პროცესმა და უნივერსიტეტში ყოფნის პროცესმა მიიღო თანამშრომლობის სახე, რაც გამოიხატებოდა შემდეგში - დაწესებულებამ რეკომენდაცია კი არა გაიზიარა არამედ დააფიქსირა საკუთარი აზრი იმ ხარვეზის მიმართ, რომელიც აქვს ენების კომპეტენციების მიმართულებით ჩარჩოს. B2-ის და C1-ის ის კომპეტენცია, რომელიც რელევანტურია დოქტორანტისათვის და არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ სხვა სპეციალობის დოქტორანტებისათვის, ის კომპეტენცია იდენტურად არის ფორმულირებული B2-სა და C1-ში. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება რომელიც არსებობს B2-სა და C1-ს შორის ეს არის ზეპირი კომუნიკაცია, ზეპირად რეპრეზენტაციის უნარი, მაგრამ, იმისათვის რომ დოქტორანტმა შეძლოს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის ათვისება აქ განსხვავება B2-სა და C1-ს შორის არ არსებობს. აქვე მან დაამატა, რომ ერთი რეკომენდაცია იყო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აქაც მივიდნენ კონსესუსამდე, რომ ზოგადად, საველე სამუშაო რომელიც ახლა ძალიან ტრენდულია ლინგვისტიკაში ესეც დამოკიდებულია სადოქტორო თემის სპეციფიკაზე. მისი თქმით, შეუძლებელია ყველა თემაში ამ მეთოდის გამოყენება. მან დაამატა, რომ ეს მეთოდი ახლა ძალიან კარგად მუშაობს, იმიტომ რომ იყენებენ საველე მეთოდს და ველზე გასვლა როგორც წესი ფინანსდება გრანტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მეტი სიცხადე შეეტანათ მე-9 და 10 -ე რეკომენდაციებში. მან დაამატა, რომ საინტერესო იქნებოდა როგორც ექსპერტ ნინო პოპიაშვილის, ასევე დაწესებულების პოზიცია. მან თქვა, რომ მე-9 რეკომენდაციაში ისინი საუბრობენ, რომ არ იზიარებენ პროფესორის ასისტირების დამატებას. რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას პრაქტიკის გაძლიერების თაობაზე, მოჰყავთ მაგალითი, რომ არის პროფესორის ასისტირება რომელიც ფარავს ამ პრაქტიკის ამსახველ შედეგებს და მიზნებში არის ეს ასახული. შესაბამისად, მან იკითხა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ხომ არ იყო მე-9 და მე-10 რეკომენდაციები?
მოცემულ შეკითხვაზე ექსპერტმა უპასუხა, რომ მე-9 რეკომენდაცია ეხებოდა სწორედ პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კომპონენტში სავალდებულო სტატუსის განსაზღვრას, თუნდაც ნაწილობრივ. სრული კრედიტების შემთხვევაში ერთი ნაწილი ყოფილიყო სავალდებულო და დანარჩენი არჩევითი. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომ პროფესორის ასისტენტობა არის სავალდებულო კომპონენტი, მათთვის ვისაც არ აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამოცდილება და თუ ასეთი გამოცდილება არის, მაშინ ისინი უფასოდ არ

ჩაატარებინებენ ამ დოქტორანტებს ლექციებს და დატვირთავენ სხვადასხვა სასწავლო კურსების მიხედვით და ამაში მისცემენ დოქტორანტებს ანაზღაურებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან ასე გაიგო არგუმენტირებული პოზიცია. ხოლო, რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პრაქტიკას, პრაქტიკაში ერთ-ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს პროფესორის ასისტენტობა, მაგრამ რადგანაც ფილოლოგიის დარგია აქ არის ენები და ლიტერატურა, ასევე ემატება კიდევ ანთროპოლოგიური კომპონენტი, შეიძლება იყოს ასევე კვლევის სხვა მეთოდების გამოყენება და ექსპერტი ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავენ. ნაწილობრივ და პარალელურად სხვადასხვას აქტივობას გულისხმობენ, როგორც ეს ექსპერტმა გაიგო ამ პროგრამიდან და ანგარიშიდან .

მაკა კაჭარავამ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, იზიარებს თუ არა იგი მოცემულ რეკომენდაციას როგორც შესრულებულს?

მოცემულ შეკითხვაზე ექსპერტმა უპასუხა რომ, რადგანაც მას ევალებოდა რეკომენდაციების შესრულების დეტალური ანგარიში წარმოედგინა, ექსპერტმა აღნიშნა, რა არის შესრულებული და როგორია დაწესებულების პოზიცია, ანუ ექსპერტები ვერ იტყვიან ეს შესრულებულია თუ არა, იმდენად რამდენადაც პროფესორის ასისტენტობა ნაწილობრივ სავალდებულო არჩევითი კომპონენტია, როგორც იყო მანამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ორი რეკომენდაცია ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს, თუმცა აბსოლუტურად იდენტურად არ განიხილავენ. მისი თქმით, პრაქტიკა ერთი მხრივ კომპლექსური კომპონენტია, მოიცავს ასისტირებას და მიზეზები სწორად არის განმარტებული რატომ არ ეხება იგი ყველას და ეხება ნაწილს და მისთვის სავალდებულო არჩევითია. მეორე მხრივ, ეს არის წმინდა ფილოლოგიური პრაქტიკის შინაარსი, რომელიც არ შეიძლება იყოს სავალდებულო ყველასათვის, იმიტომ, რომ მეთოდები თავი არსით რადიკალურად განსხვავდება და შეიძლება რელევანტური იყოს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. ასე რომ რეკომენდაციები რა თქმა უნდა არ არის იდენტური, თუმცა ნაწილი ბუნებრივია ერთმანეთს ფარავს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ დაწესებულება აღნიშნული სტუდენტების რაოდენობაზე მეტს არ იღებს და რამდენად მოხდა ამ ყველაფრის რეგულაციებში ასახვა? იმ შემთხვევაში თუ მეტ სტუდენტს მიიღებენ როგორ დაარეგულირებენ?

მოცემულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათთან რეალურად ხდება საკვლევი თემების წინასწარ გამოტანა , რომლის მიხედვითაც ამ საკვლევ თემატიკებზე განსაზღვრულია თითო დოქტორანტის, ან შეიძლება ისეთი თემა იყოს სადაც შესაძლებელია რამდენიმე დოქტორანტი იქნეს აყვანილი. საკვლევი თემები რამდენის შესაძლებლობასაც იძლევა შესაბამისად ხდება ამ ყველაფრის დარეგულირება - კონცეფციის წარდგენის შემდეგ ხდება გაცხრილვა და ვინც უფრო კარგ შედეგს გამოავლენს მისი ჩარიცხვა მოხდება. მათ შიგნით უშუალოდ, თემის ხელმძღვანელის დატვირთვის ფაქტორიც რომ გაითვალისწინონ, დატვირთვის სქემიდან გამომდინარე, მათ მიერ განსაზღვრულია, რომ მაქსიმუმ შესაძლებელია ჰყავდეს 5 დოქტორანტი . დანარჩენი , როგორც უკვე აღნიშნა ხდება თემების წინასწარ განთავსება და განთავსების შესაბამისად ხდება უკვე დოქტორანტების ვინაობის განსაზღვრა კონცეფციის წარდგენის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დასვა კითხვა პროფესორის ასისტენტობასთან დაკავშირებით, კერძოდ, მან იკითხა, რომ როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, დოქტორანტებს, რომელთაც აქვთ პედაგოგიური გამოცდილება და ამ ეტაპზე კითხულობენ ლექციებს, მათ ჩაეთვლებათ ეს პროფესორის ასისტირება. როგორ ხდება დაწესებულებაში, ვის მიერ ხდება ამ პროფესორის ასისტირების შეფასება და ზუსტად როგორ ხდება იმ დოქტორანტების შეფასება, რომლებსაც აქვთ ან აკადემიური გამოცდილება, ან ახლა ატარებენ ლექციებს. ასევე, თუ დოქტორანტს უკვე აქვს გამოცდილება, მაგრამ ამ ეტაპზე უკვე ლექციებს არ ატარებს, ამ შემთხვევაშიც ხდება მათთვის პროფესორის ასისტირების ჩათვლა და თუ ხდება რა ფორმით?

მოცემულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს არის გამოცდილება, სწავლის მომენტში შეიძლება იგი არ იყოს დასაქმებული როგროც ლექტორი, მაგრამ ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება, მაგალითად, ერთ-ერთი დოქტორანტი იყო ასეთი, მისთვის პროფესორის ასისტირება არ შეუთავაზებია დაწესებულებას, იმიტომ, რომ ჰქონდა საკმაოდ დიდი გამოცდილება. შესაბამისად, უსდ-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქ ჩათვლაზე არ არის საუბარი. ადამიანს, რომელსაც არ აქვს, ან აქვს გამოცდილება მას არაფერი არ ეთვლება. დაწესებულება არავის არაფერს უთვლის გამოცდილებით მათ შორის ბაკალავრიატშიც კი. გამოცდილება არ უდრის კრედიტს. მან დაამატა, რომ გამოცდილება არის ის დოკუმენტაცია, რომელიც მტკიცდება წარმოდგენის შემთხვევაში და აქ ჩათვლაზე არ არის საუბარი. ამიტომ ლექტორი, რომელიც მოდის ამ გამოცდილებით, მას ბუნებრივია არაფერი არ ეთვლება და იგი არ იღებს საგანს და არ არის ვალდებული აიღოს ეს საგანი. დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ ყველა დოქტორანტისთვის იქმნება სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო. სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო არის ის ჯგუფი რომელიც უშუალოდ დოქტორანტის საჭიროებებიდან გამომდინარე, გეგმავს ყველაფერს.
საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა ითხოვა დაზუსტება და მიმართა დაწესებულებას კითხვით: ხდება თუ არა შეფასება და ვინ აფასებს?
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საბჭო აფასებს, საბჭო არის ის რომელმაც უნდა შეაფასოს, ეს ერთი კრიტერიუმი არ არის მაგალითად თუ მოვიდა ადამიანი მათ სფეროში მოსამართლე, რომელსაც წლების განმავლობაში უნივერსიტეტში აქვს არაერთი ლექცია წაკითხული, ის შესაბამისად ამ ტიპის ვალდებულებისაგან გათავისუფლდება და დაევალება სხვა სასწავლო კომპონენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:34 სთ
დასრულების დრო: 14:39 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი..
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება :
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

1. **მესამე საკითხი.** შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სამართალი და ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი და ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30/07/2021 N758504
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311, ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77ა. თბილისი, მე-4 კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
აცილება დააფიქსირა ნათია ზედგინიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მარინა ჩავლეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში ყურადღება გამახვილდა სამ რეკომენდაციაზე. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა სათაურის დაზუსტებას, ხოლო, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას რა თქმა უნდა სრულად პასუხობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მან თქვა , რომ პირველ აკრედიტაციაზე, სადაც თვითონაც იმყოფებოდა ძალიან ფართოდ მოხდა ამ პროგრამის განხილვა. მან თქვა, რომ მიმდინარე შემთხვევაში იზიარებდა ამ ყველაფერს, რადგან ძირითად მიზნებში კორექტირებაც არის გაკეთებული. ამ პროგრამაში გამოკვეთილია ძირითადად ის, რომ ეკონომიკის ხარისხს ანიჭებს უპირატესობას დეტალური სფეროს მიხედვით და განსაკუთრებულად სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზზეა საუბარი. შინაარსი, შედეგი, მიზანი ექსპერტის აზრით შესაბამისია და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ის შეხედულება რაც მათ აქვთ შესაბამისი რეკომენდაციების ანგარიშში ექსპერტის აზრით მისაღებია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო, რომ პროგრამაში მითითებული ყოფილიყო, რომ სტუდენტი მაგალითად რეგულირებადი სფეროს სამართალზე ვერ გააგრძელებდა დოქტორანტურაზე სწავლებას, მაგრამ ექსპერტმა განაცხადა, რომ ამის შესახებ მაგისტრმა ისედაც უნდა იცოდეს. სხვა მხრივ, ექსპერტის პოზიცია დადებითია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა გამოცდას, რომელიც კანდიდატმა მაგისტრატურაში უნდა ჩააბაროს. ადრე იყო შემდეგნაირად: საკითხები რომლებიც უნდა სცოდნოდა კანდიდატს ეკონომიკის მიმართულებით, გასაუბრება ტარდებოდა. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ შეცვალა ეს მიდგომა და მათ ახლა გამოცდებს უტარებენ მისაღებში და ეს წერითი გამოცდა შეტანილია უკვე პროგრამაში. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა საკონტაქტო საათებს, რომელიც ალბათ უნდა გაზრდილიყო, დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ კვლევითი სემინარი 1 და 2-ში და ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანში, რომელიც ამ პროგრამისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს გახლავთ რეგულირების გავლენის შეფასება, რომელიც კომპლექსური საგანი არის ამ პროგრამისთვის, დაწესებულებამ გაზარდა საკონტაქტო საათები და ორ-ორი საათი დაემატა კვლევით სემინარს, ხოლო ექვსი საათით არის გაზრდილი ეს საკონტაქტო საათები რეგულირების გავლენის შეფასებასთან მიმართებაში . ასევე იყო ერთი რჩევა, რომელიც შეიძლება დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული, მაგრამ მას ნება ჰქონდა რომ არ გაეთვალისწინებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტს და აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ მიზნების შედეგები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი, ერთ-ერთ სწავლის შედეგში კი ჩანს შემდეგი ფორმულირება: სამართლის და ეკონომიკის დარგში კომპლექსური პრობლემის კრიტიკული გააზრება და მათი გადაწყვეტის ახლებური ხედვა და ა.შ. გრძელდება. მან ჰკითხა ექსპერტს თუ რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა, რომ სამართალში გადაწყვიტოს კომპლექსური პრობლემები და მათი ახლებური გააზრებაც მოახდინოს.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ამაზე კომენტარს აუცილებლად გააკეთებს რადგან ეს პროგრამა საკმაოდ ფართოდ აქვს შესწავლილი, წინა და ახლანდელი აკრედიტაციიდან გამომდინარე, ექსპერტის თქმით, კომპლექსურობა იმაში გამოიხატება, რომ უმრავლესობა იმ სილაბუსების შინაარსისა, რომელიც პროგრამაშია ჩართული, სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზზეა ძირითადად აგებული. შედეგში ეს კომპლექსურობა აქედან გამომდინარე ჩანს. ის სილაბუსები, რომლებიც დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი თავის დროზე, ჩანს ის კომპლექსურობა სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ რეგულირებასთან მიმართებაში შედეგებში კი ეს აუცილებლად ამ სახით უნდა ასახულიყო . მაგრამ თუ დაწესებულება ამასთან დაკავშირებით რამე კომენტარს გააკეთებს ექსპერტი მას აუცილებლად მოუსმენს .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტს ეთანხმება და მისი აზრით, კარგად არის გაანალიზებული პირველი ვიზიტიდან დღემდე ყველაფერი. მან თქვა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად კარგად გაიაზრა ყველაფერი, რაც შეეხება საბჭოს წევრის ლევან მოსახლიშვილის შეკითხვას, ჯერ კიდევ ვიზიტის დროს იყო დაწესებულებაში ექსპერტების მხრიდან აღნიშნული საკითხი დასმული, რაზეც ადმინისტრაციამ, პროგრამის ხელმძღვანელმა და ყველამ გასცა პასუხი და დასკვნაშიც აისახა. მისი თქმით, ეს არ არის სამართლის პროგრამა , ეს სამართლის კომპლექსურ სწავლებას არც ახდენს, ეს არის სამართალი და ეკონომიკა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე ძალიან აპრობირებული პროგრამაა და სამართალსა და ეკონომიკაში, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთ მიმართულებაში იმ კომპლექსური ცოდნის მიცემაზეა საუბარი, რომელიც ექსპერტმა ძალიან კარგად ახსნა.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, როგორ ფიქრობს დაწესებულება, რომ სამართლის ის სილაბუსები, რომლებიც სამართლის მიმართულებით არის, საკმარისია ამ პროგრამაში იმისთვის, რომ მისცეს აუცილებელი ცოდნა სამართალში, რომ ამ შედეგზე გავიდეს?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კი საკმარისია და აღნიშნა, რომ ორი იურისტი ჩართული იყო ამ ყველაფერში და ეს მათი ერთ-ერთი კრიტერიუმიც იყო. მათ ძალიან კარგად დაინახეს ის შუალედური ნაწილი, რომელიც აქ უნდა იყოს გათვალისწინებული. სამართლებრივი გადაწყვეტილების სამართლებრივი რეგულაციები, სასამართლოს მხრიდან თუ საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან გამოცემული, მაგალითად, აქტების გაგება და როგორ ახდენს მაკრო თუ მიკრო დონეზე ეკონომიკურ საკითხებში ეს გავლენას. იმისათვის რომ მაკრო და მიკრო დონეზე გაიგოს ეს გავლენას როგორ ახდენს, ისინი რა თქმა უნდა უხსნიან რა არის მაგალითად სასამართლო გადაწყვეტილება სისტემების მიხედვით როგორია კონტინენტალური სასამართლოს მიდგომა და პრეცედენტული სამართალი, მათ შორის საკანონმდებლო ბერკეტი რა არის, მოსამართლის განმარტებითი ფუნქცია რა არის. ეს არეალი საკმარისია იმისათვის, რომ მან გაიგოს ეკონომიურ ნაწილში უკვე თავისი ფუნქცია და აქ ასევე ჩართული ეკონომიკური ოპერაციების პროცესში.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა თქვა, რომ სწავლის შედეგებში მოცემულია, რომ სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება ისეთი ცოდნა სამართალში, რომ შეძლებს ამის საფუძველზე დანარჩენის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ალექსანდრემ თქვა, რომ მოიყვანდა მაგალითს თუ რას ნიშნავს დარგი სამართალი და ეკონომიკა. ეს არა სამართლის დარგია არამედ ეკონომიკის დარგია. მან აღნიშნა, რომ წარმოვიდგინოთ რომელიღაც რეგულაცია, რომელიც შემოვიდა და მის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს უნარი ეს რეგულაცია შეაფასოს, დაინახოს რა შეიძლება მოხდეს, რა პრობლემა შეიძლება გაჩნდეს ან სრულიად ახალი რაღაც დაინახოს. იგი აკეთებს ეკონომიკურ ანალიზს , ამ ნაწილში რომ მან ასე კომპლექსურად შეისწავლოს აღმოაჩინოს ახალი პრობლემა სრულად საკმარისია.

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა, რომ ეს ძალიან ლოგიკური კითხვა იყო მისთვის, როგორც იურისტისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს მიჯნა ნამდვილად არის გავლებული სადაც ისინი სამართლის სფეროში კი არ გადადიან, არამედ აქ არის ზოგადი საკითხები რომელიც კომპლექსურია სამართალი და ეკონომიკისთვის, მაგრამ სამართლისათვის შეიძლება ძალიან ბევრი რაღაცა უფრო ზოგადი ნაწილი იყოს . ამის შემდეგ მაგალითად, კანონი ან უზენაესი სასამართლოს განმარტება რომელიღაცა ნორმასთან მიმართებაში როგორ გავლენებს ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე ამის ანალიზს სწავლობენ. რა თქმა უნდა ის სამართლებრივი სისტემები, რაც ისწავლება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სამართალსა და ეკონომიკის ამ დარგში და შემდგომ პროცესში აღნიშნული კვლევები ჩაატაროს.

ასევე ერთ-ერთმა დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ისინი ამ ტერმინთან დაკავშირებით, როგორიც არის „სამართალი და ეკონომიკა“ - ასეთ წარმოდგენას უქმნიან სტუდენტებს, როგორც პროგრამის მიზანშია - ‘’პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ეკონომიკის მიმართულებით - ‘’სამართალი და ეკონომიკა‘’, რომლებიც მოიცავს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს‘’. შედეგებშიც არსად არ იკვეთება სიტყვა სამართალი, იმიტომ რომ შენარჩუნებული იყოს ეს განმარტება, რომლებიც სტუდენტებს და ყველა დაინტერესებულ პირს პროგრამის მიზნებში აღუწერეს, რომ ეს არის სამართალი და ეკონომიკა, ეკონომიკის ქვედარგი. პირველი ვიზიტის დროს დაწესებულებას და ექსპერტებს ჰქონდათ ამაზე დისკუსია. დაწესებულებამ კი ეს მაშინვე გაითვალისწინა და აღნიშნა, რომ მეტ კონკრეტიზაციას გააკეთებდა მოცემულ საკითხზე რათა მეტი დაბნეულობა არ გამოეწვია, იმაზე რაზეც ექსპერტებს ჰქონდათ წუხილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:56 სთ
დასრულების დრო: 15:23 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალი და ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალი და ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. **მეოთხე საკითხი.** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის'" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8

9	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841, ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122ა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი. საქართველო, 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტი გიორგი მელაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ყველაფერი ასახა და დაწესებულებამაც გამოაგზავნა თავისი კომენტარები, დამატებით კი არაფრის თქმა არ სურს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მაკა ბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა , საეტაპო და განმავითარებელია მათი უნივერისტეტისთვის და უმნიშვნელოვანესია სამი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი ეს

გახლავთ ის, რომ ისინი ასრულებენ უცხოელი ექსპერტის რეკომენდაციას რომელიც სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამის დროს გაიცა დაწესებულებისადმი და გულისხმობდა იმ სივრცის შექმნას, სადაც მოამზადებდნენ ახალგაზრდა კადრებს ვეტერინარიაში, რაც საჭიროა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. მეორე და უმნიშვნელოვანესი გახლდათ ის, რომ უნივერსიტეტი ამ ახალ პროგრამას განიხილავს პარტნიორობით ძალიან ბევრ უკვე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ინსტიტუციასთან. ეს პარტნიორობა, მისი აზრით, განაპირობებს ძალიან სერიოზულ წარმატებას ამ პროგრამისას, მით უფრო რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ერასმუს პლიუსის მიერ წელს გამარჯვებული პროექტი, რომელიც აძლევთ შესაძლებლობას ძალიან სერიოზული ფინანსური მხარდაჭერით განავითარონ მათი საჭიროებები, კიდევ უფრო მეტად უპასუხონ კონსორციუმის ფარგლებში, სადაც არიან როგორც ქართველი, ისე ევროპელი პარტნიორები. უსდ-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო რეკომენდაცია, რომელიც მოცემული იყო ექსპერტთა მხრიდან გულისხმობდა სერიოზულ კონტაქტებს ყარსის უნივერსიტეტის ვეტერინარიის უნივერსიტეტთან, რომელიც ისედაც საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტია, მიზეზი მხოლოდ ერთი გახლდათ, ამ უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის ევროპის ვეტერინარული დაწესებულებების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი, ამ დარგში ძალიან მაღალი კომპეტენციის და ხარისხის ასოციაციაა, შესაბამისად დაწესებულებას უკვე აქვს საფაკულტეტო მემორანდუმი და სერიოზული პერსპექტივები ამ კუთხითაც. ბოლოს დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან ძალიან დეტალურად განიხილეს თითოეული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტს დაუსვა კითხვა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო კომპონენტს უნდა დაემატოს საგანი, რომელიც არის სამეცნიერო კვლევის საფუძვლები. მან განაცხადა, რომ ეს სარეკომენდაციო ხასიათისაა და თუ ცოდნას ვერ მიიღებს სტუდენტი ვერ გავა სწავლის შედეგებზე, შესაბამისად, მათ ეს სტანდარტი შეფასებული აქვთ როგორც მეტწილად შესაბამისობაში. თუ კი ასეთი ხარვეზი აქვს პროგრამას რომ კურსი არ აქვს და არ ისწავლება ის ყველაფერი, რაც სწავლის შედეგებზე გასვლას მოითხოვს მაშინ რატომ არის ამგვარი შეფასება დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელიც ეხებოდა კვლევითი კომპონენტის შესრულებას, კერძოდ, სასწავლო გეგმაში კვლევითი კომპონენტი იწყება პირველივე სემესტრიდან და 3 დღის განმავლობაში ხორციელდება. როგორ ადგენს ან აფასებს დაწესებულება ამ კვლევით კომპონენტს სასწავლო პერიოდში და ხომ არ უშლის ეს სასწავლო კომპონენტის ათვისებას ხელს მაშინ , როცა თავიდანვე კვლევით კომპონენტზე მუშაობს დოქტორანტი .
ასევე, მან ჰკითხა ექსპერტებს და დაწესებულებას თუ არ არსებობს ინფრასტრუქტურა ამ შემთხვევაში რა ხდება, როგორ მიაღწევს დაწესებულება სწავლის შედეგებს მითუმეტეს დოქტორანტურის საფეხურზე.
პირველ კითხვას ექსპერტმა გიორგი მელაშვილმა უპასუხა, მან განაცხადა, რომ შედარებით რბილი შეფასება იმიტომ არის ექსპერტების მხრიდან, რომ ამ საგნის გარკვეული კომპონენტები შეიძლება მოიცავდეს სხვა საგნებსაც. სხვა საგნებში დამატებით შეიძლება იყოს ათვისებული. ამას გარდა, როდესაც მაგისტრი ამ სფეროში მოდის, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება მეთოდებთან და შესაბამისად, ეს საგნის დამატება იქნება მხოლოდ რჩევა იმიტომ რომ, ადამიანი რომელიც დოქტორანტურაში აბარებს და აქვს ამბიცია იმისი, რომ იყოს მკვლევარი უნდა ფლობდეს გარკვეულის სახის წარმოდგენებს იმის შესახებ თუ რას აპირებს. ეს საგანი აუცილებლად იმიტომ უნდა იყოს სწავლებაში, რომ შეიძლება მაშტაბური ცოდნა არ გააჩნდეს ადამიანს ამ სფეროში და დასჭირდეს კონსულტაცია, რომელიც ამ საგნის არ სწავლების შემთხვევაში იქნება საჭირო ეძებოს სადღაც სხვაგან და არა თვითონ სასწავლო დაწესებულებაში. სწორედ ამიტომ აქვს ექსპერტებს ასეთი შეფასება გაკეთებული .

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა და ჰკითხა ექსპერტს, რომ ამ კურსის სავალდებულო საგნად არჩევას სავალდებულო კომპონენტად მოიაზრებს ექსპერტი თუ არჩევით კომპონენტად .
მოცემულ შეკითხვაზე ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს დაწესებულების გადასაწყვეტია სავალდებულო იქნება თუ არჩევითი, მაგრამ თავად ექსპერტი ფიქრობს, რომ არჩევითი უკეთესი იქნება იმიტომ, რომ ეს იქნება გადასაწყვეტი იმ პირის, რომელიც დოქტორანტურაში აბარებს და თუკი თვლის, რომ არ აქვს საკმარისი კომპეტენცია ამ მიმართულებით მაშინ აირჩევს ამ საგანს და გაივლის, მაგრამ თუ თვლის, რომ შეიძლება მოვიდეს ამ სფეროში ადამიანი რომლის ერთ-ერთი მთავარი პლიუსი ის იქნება რომ ამ საგანში ძალიან კარგად ერკვევა, მაგალითად სტატისტიკოსად უმუშავია სადმე ან კვლევის ასისტენტი იყო სადმე, მაშინ ამ საგნის გავლა არ დასჭირდება. ამიტომ, ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდირებული იქნება ასეთი საგანი იყოს არჩევითი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მაკარაძემ კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი პროგრამის მიხედვით იწყება 1-ლი სემესტრიდან და გათვალისწინებულია პირველ სემესტრში მხოლოდ მუშაობა იმ წყაროებზე და საინფორმაციო საშუალებებზე, რომელიც დოქტორანტს საშუალებას მისცემს სრულიად უპრობლემოდ სასწავლო სავალდებულო კურსებთან ერთად, მოიძიოს ლიტერატურის წყაროები და დაიწყოს შეგროვება და პარალელურ რეჟიმში განხორციელდეს მეთოდიკის განსაზღვრა. მან აღნიშნა, რომ ძირითადად კველევითი სამუშაოები იწყება მეორე სემესტრიდან, სადაც მთავრდება ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა და იწყება უკვე გამოსაკვლევი მასალის მოძიება და იდენტიფიცირება გრძელდება მესამე სემესტრში. ამასთანავე ხდება კვლევების განხორცილება, რომელიც ფაქტიურად მე-4 სემესტრის ბოლოს მთავრდება და შემდგომი მე-5 ეტაპი ეს გახლავთ ამ კვლევების იდენტიფიცირება, დასკვნები, ანალიზი და სადოქტორო თემასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი ჩანაწერების გაკეთება. ბოლო ეტაპი კი გახლავთ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. ასევე, პროგრამაში გაწერილია 6 ეტაპი და თითოეული ეტაპი შეესაბამება სამეცნიერო კვლევით კომპონენტს და შეესაბამებოდა შესაბამის სემესტრებს და ამავდროულად პროგრამაში განმარტებაა ამ ეტაპების დროს რა სახის სამუშაოებს და როგორ ახორცილებს. დაწესებულების წარმომადგენელი ფიქრობს, რომ პირველი კურსიდან ამ საკითხების დაწყება დოქტორანტის საქმიანობას მხოლოდ წაადგება და არავითარ შემთხვევაში არ შეუშლის ხელს მას, მითუმეტეს მაშინ, როცა პირველ სემესტრში ოთხი სასწავლო კურსის სწავლებაა დაგეგემილი, ხოლო, დანარჩენი ორი გადანაწილებულია , მაგალითად, ასისტენტობა მესამე სემესტრში , სემინარი მე-2 სემესტრში და ა.შ.
მან ასევე ისაუბრა საგანთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ძალიან დამაჯერებელი მიდგომები იყო ექსპერტებისგან. დაწესებულების პასუხი იმაზე, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ცალკე სავალდებულო სასწავლო კურსად იყოს ჩასმული არ არის აუცილებელი. მისი თქმით, ეს ყველაფერი ექსპერტებმა ნაწილობრივ გაიზიარეს, მაგრამ შესთავაზეს ხუთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი და ამავდროულად შემდეგი ჩანაწერი გააკეთეს, რომ ამ 5 საკითხის ცალკეულ სილაბუსებში გადანაწილება პროგრამის ხელმძღვანელის პრეროგატივაა და აქ აღარ არის საუბარი ან სასწავლო კურსის სავალდებულო ან არჩევითში გადატანაზე. დაწესებულება დეტალურად გაეცნო 5 შემოთავაზებულ კითხვას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ხუთივე კითხვა კონკრეტულად აქვთ ჩაწერილი, ისეთივე შინაარსით, რომელიც ექსპერტებმა მიუთითეს სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტში, ცხოველთა ინფექციური დავადებები, ეპიდემიოლოგია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. მან აღნიშნა, რომ ეს ეხებოდა ობსერვაციულ კვლევებს , ინტერვენციულ ექსპერიმენტულ კვლევებს ასევე სპეციალური კითხვების შედგენას ობსერვაციული კვლევებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ყველა თემასთან დაკავშირებით შესაბამისი სილაბუსიდან აქვს შესაბამისი ამონაწერი, რომ ეს საკითხები ნამდვილად ჩასმულია სილაბუსებში. რაც შეეხება ბიო მათემატიკისა და სტატისტიკის საკითხებს, მან დაამატა, რომ ეს საგანი იკითხება მაგისტრატურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. შეიძლება დიდი ხანი ისწავლა დოქტორანტმა და აღარ ახსოვს და დოქტორანტურაზეც მოხდეს მისი განმეორება,

მისი აზრით ეს არგუმენტი არ არის. მან აღნიშნა, რომ ასევე ექსპერტების ნათქვამი, რომ შესაძლებელია ამ საგნის არჩევით საგნად ჩასმა, ამით არაფერი არ შავდება. აქვე დაამატა, რომ ზოგიერთ ნაწილში არის შეუსაბამობა. სასწავლო კურსის განსაზღვრის დროს ექსპერტები მიანიშნებენ რომ თუ კურსი ისწავლება, საკითხები ისწავლება ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში , სადოქტორო საფეხურზე არ არის აუცილებელი მისი გამეორება.
საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულებას შეკითხვით: ექსპერტებს უწერიათ, რომ უნივერსიტეტს არ აქვს ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები და არც სამანიპულაციო საშუალებები. მათ აქვთ ხელშეკრულებები და მემორანდუმები სხვადასხვა ლაბორატორიასთან გაფორმებული. თუკი ექსპერტებმა ნახეს ეს ლაბორატორიები, აკმაყოფილებს თუ არა ყველა იმ მოთხოვნას და შესაძლებელია თუ არა ამ ლაბორატორიებში, სადაც მემორანდუმები და ხელშეკრულებებია გაფორმებული, განხორციელდეს სადისერტაციო ნაშრომების გაკეთება, ანუ კვლევითი კომპონენტის შესრულება. ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს უწერიათ რომ პრაქტიკა აჩვენებს, რომ ''დოქტორანტების დიდი უმრავლესობა ვერ აცნობიერებს რა ტიპის კვლევებს ახორციელებს და რა ნიუანსებისა და წესების გათვალისწინებით სჭირდება, რომ კვლევა რაციონალურად წარიმართოს და სარწმუნო შედეგებით დასრულდეს''. საბჭოს წევრის კითხვა მდგომარეობს შემდეგში: დოქტორანტებისათვის არის თუ არა ეს საკვლევი თემატიკა რაზეც უნდა იმუშაოს წინასწარ განსაზღვრული და როდის და როგორ ხდება სადოქტორო თემის დამტკიცება. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ რჩევის შინაარსი შემდეგნაირად გაიგო, რომ დოქტორანტებმა არ იციან რაზე უნდა იმუშაონ, მაშინ როდესაც პირველივე სემესტრიდან უკვე აქვთ კომპონენტი. ასევე, მან დაამატა, რომ ექსპერტებს აქვთ შემდეგი ჩანაწერი: „დოქტორანტები არ უნდა სწავლობდნენ იმ თემებს რაც ნასწავლი აქვთ, ან ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე უნდა ესწავლათ“. იგი დაინტერესდა თუ რას გულისხმობს ეს ჩანაწერი. გულისხმობს იმას, რომ სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს სამაგისტრო პროგრამისათვის გათვალისწინებულ საკითხებს და არა სადოქტოროსას. შეესაბამება თუ არა სადოქტორო საფეხურს ზოგიერთი ეს სასწავლო კურსი რომელზეც ისინი საუბრობენ. მან ასევე დაამატა, რომ ჩანაწერში სადოქტორო ხელმძღვანელთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ სადოქტორო ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებში სასურველია ყურადღება გამახვილდეს ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და ხელმძღვანელი პირის მიერ ამ კვლევითი პროექტების ჩართულობაზე და ყურადღება იყო გამახვილებული ბოლო წლების განმავლობაში მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სასურველი იყო გამოქვეყნებული ყოფილიყო სამეცნიერო ნაშრომები. მისი ეს კითხვა ეხებოდა როგორც ექსპერტებს, ასევე დაწესებულებას: არის თუ არა განსაზღვრული კრიტერიუმები რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და რა არის ეს კრიტერიუმები.
პირველ შეკითხვას ექსპერტმა უპასუხა და აღნიშნა, რომ ზოგადად ხელმძღვანელის მიმართ კრიტერიუმები პროგრამაში არსად არ არის გაწერილი, მაგრამ სავარაუდოდ იგულისხმება მისი ავტორიტეტი და სპეციალობა. ერთი სპეციალობის პროფესორმა სხვა მიმართულებით რომ გაუწიოს ხელმძღვანელობა ნაკლებად სავარაუდოა, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჯაჭვზეა აგებული. საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დაამატა, რომ თანდართულ დოკუმენტაციაში შესაძლოა გაწერილი იყოს თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის ხელმძღვანელი და აქვს თუ არა ეს უნივერსიტეტს.
მოცემულ შეკითხვაზე ექსპერტმა უპასუხა რომ ვერ ნახა, მაგრამ სავარაუდოდ შეილება გაწერილი ყოფილიყო სადღაც. ასევე, მან თქვა რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით საქართველოში შემდეგი ტენდენციაა, არ არსებობს ინსტიტუცია რომელიც ნებისმიერ კვლევას დააკმაყოფილებს, განსაკუთრებით ეს ეხება თანამედროვე კვლევებს , მაგალითად გენეტიკას , ბიოქიმიურ მეთოდებს რომლებასაც სპეციალისტების გარდა სჭირდება განსაკუთრებით ძვირადღირებული აპარატურა და ინფრასტრუქტურა , რომელიც საქართველოში შეიძლება არ იყოს. მაგრამ როცა ექსპერტმა გადახედა ხელშეკრულებებს თუ ვისთან აქვთ გაფორმებული , თქვა რომ 5 წლის წინ იყო ყარსის უნივერსიტეტში და ძალიან ბევრი თანხაა დახარჯული ამ

უნივერსიტეტის განვითარებაზე და საკმაოდ კარგად არის მოწყობილი ყველაფერი. ასევე ხელშეკრულება აქვთ ბაქტერიოფაგთან , საქათველოში არ არსებობს მსგავსი კატეგორიის დაწესებულება, სადაც ასეთი ხარისხის კვლევები კეთდება აღნიშნულთან დაკავშირებით. ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი მსოფლიოში ერთ-ერთია წამყვანია კვლევებით. ამიტომ ექსპერტმა განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით პრობლემა არ იქნება, იმიტომ რომ საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი მოიძებნება სამედიცინო და სავეტერინარო სფეროში, რომელიც თავის კვლევას მხოლოდ საქართველოში გააკეთებს. მისი აზრით, ზუსტად ამიტომაა საჭირო საერთაშორისო კავშირები, რომ კვლევები ჩატარდეს და დივერსიფიკაცია მოხდეს ამ კვლევების და არ იყოს ჩაკეტილი მოჯადოებულ წრეში, რომლის გარეთაც გასვლას ვერ შეძლებს . რაც შეეხება კითხვას სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ექსპერტმა თქვა, რომ ეს უფრო შეეხება სავალდებულო და რეკომენდირებულ ლიტერატურას. მაგალითად ვაქსილონოლოგიაში იყო წიგნები მოყვანილი, რომელიც 80-იან წლებშია დაწერილი და აშკარად არ შეესაბამება ამ საგანს ასეთი ხანდაზმული ლიტერატურა. ადამიანი შეიძლება ვაქსინოლოგიის ისტორიას სწავლობდეს და მაშინ გამოადგეს ეს ლიტერატურა. მაგრამ მაინც სასურველია დოქტორანტს წვდომა ჰქონდეს თანამედროვე სტატიებთან, ვიდრე ლიტერატურასთან. იმიტომ რომ იგულისხმება, რომ როცა დოქტორანტურაში სწავლობს სახელმძღვანელოს ნაკლები როლი ენიჭება განვითარებისთვის, ვიდრე თანამედროვე სტატიებს და ისეთ კვლევებს რომელიც პრიორიტეტულია ამ სფეროში.

დაწესებულების მხრიდან, ბატონმა ლევან მაკარაძემ უპასუხა კითხვას ხელმძღვანელთან დაკავშირებით. მან თქვა , რომ შეიძლება ექსპერტს გამორჩა ის ფაილი, სადაც მითითებულია სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება . სადაც დეტალურად არის გაწერილი ვინ შეიძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი და რა მოეთხოვება მას, ასევე, თანახელმძღვანელი ვინ შეიძლება იყოს, რომ შესაბამის მიმართულებაში გამოქვეყნებული ჰქონდეთ ღირებული სამეცნიერო სტატიები და ა.შ ეს ფაილი ნამდვილად არსებობს და ამის მოძიება ახლაც შეიძლება. ასევე, იქ მითითებულია ვინ შეიძლება იყოს მოწვეულის რანგში, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, უცხოელი და ა.შ. რაც შეეხება ინფსრასტრუქტურას. აქვე დაამატა, რომ რამდენიმე უნივერსიტეტის ლაბორატორიას დაასახელებს, სადაც შეიძლება იმ ლაბორატორიების ჩარჩოში გაკეთებული კვლევების წარმატებით განხორციელება. ერთ-ერთი ასეთი ლაბორატორია კლინიკური უნარჩვევების ლაბორატორია, როცა ამ ლაბორატორიაში არსებულ აპარატურაზე იყო საუბარი ეს იყო ჰუმანას ტიპის გერმანული ფარმაკოლოგიური კომპანიის წარმოება, ეს არის თანამედროვე ტიპის აღჭურვილობა სამედიცინო და მითუმეტეს ვეტერინარიის პრაქტიკაში, სადაც შეიძლება ყველა სახის სისხლის მორფოლოგიური და ბიოქიმიური გამოკვლევების ჩატარება. აქვე არის ის თანააპარატურა , რომელიც აუცილებელია ამ კვლევების განსახორციელებელად და მან დაამატა რომ, აქ ისაა საინტერესო რომ ეს აპარატი საზღვრავს სისხლის იმ მაჩვენებლებს, რომელსაც ადრე დოქტორანტი ერთი წლის განმავლობაში ვერ განახორციელებდა. აქ კი 5 წუთში ხდება .

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დააზუსტა შეკითხვა, აქვს თუ არა დაწესებულებას წინასწარ განსაზღვრული თემები თუ რა თემებზე უნდა იმუშაონ დოქტორანტებმა და შესაბამისად, თუ აქვთ მოძიებული ლაბორატორიები , სადაც ამ კვლევებს ჩაატარებენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ პროგრამაში უწერიათ რა მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს კვლევები დოქტორანტურაში. როცა დოქტორანტი თვითონ განსაზღვრავს თემას, მაგალითად, მას უნდა დოქტორანტურაში შემოვიდეს პათოლოგია, ონკოლოგია მორფოლოგიის მიმართულებით შესაბამისად დოქტორანტი წერს თავის სამოტივაციო წერილში ამ მიმართულების რა ნაწილი აინტერესებს მას და ამას თუ ვერ საზღვრავს მაშინ დაწესებულებას ვალდებულება აქვთ რომ დოქტორანტს ხელი შეუწყონ ამ მიმართულებით საინტერესო კვლევების ჩამონათვალში. აქვე დაამატა, რომ არის პათო მორფოლოგიის ლაბორატორია, სადაც უპრობლემოდ შეიძლება მოხდეს უამრავი კვლევის

გაკეთება. მან ასევე განაცხადა, რომ დაწესებულება ცდილობს დაუახლოვდეს იმ რეგულაციებს, ადგილზე რისი გაკეთებაც შეეძლება და ისიც აღნიშნა, რომ აქვთ საოპერაციო და გინეკოლოგიური ბლოკი .
დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ დაამატა, რომ 100 000 იანო გრანტით, ''იუ ეს ეიდის'' დახმარებით მათ იყიდეს უნიკალური მოწყობილობები. რაც შეეხება დოქტორანტებისთვის მზაობას, აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია და სხვა სადოქტორო პროგრამების გამოცდილების გაზიარებით იმისათვის, რომ ორი პრობლემისათვის ეპასუხა ინსტიტუციას პირველი გახლავთ ის, რომ ჩამოყალიბებული იყოს დოქტორანტი თავისი კვლევის მიმართულებებში და ზუსტად იცოდეს პროგრამა რომელზეც მოდის დააკმაყოფილებს თუ არ ამის ინტერესს და მეორე, რომ ის წლები რომელიც განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამაში, არ აღმოჩნდეს, რომ მხოლოდ თავის პროგრამის ძიებაში ''გაეპაროს'', ინსტიტუციამ მიღების წინაპირობისას სავალდებულოდ ჩათვალა საკვლევი განაცხადის წარმოდგენა , რომელიც ფაქტიურად ამ პრობლემას გარკვეულწილად ხსნის, იმიტომ, რომ მხოლოდ და მხოლოდ კვლევითი განაცხადით, სადაც ზუსტად არის ჩამოყალიბებული მიმართულებაც და კვლევის ინტერესიც, შემოდის დოქტორანტი და მიმღებ კომისიას აქვს შესაძლებლობა მიღებისთანავე განსაზღვროს სავარაუდოდ არის თუ არა ეს პროგრამა ის, რომელიც მის ინტერესს დააკმაყოფილებს და ექნება თუ არა წარმატებული სწავლების შესაძლებლობა ამ პროგრამაზე.
საბჭოს თავმჯდომარე მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მე-7 რეკომენდაციაში წერია, რომ საჭიროა ვეტერინარული კლინიკის მოწყობა, რა იგულისხმება ამაში? და თუ შეუძლებელია მსგავსი ინფრასტრუქტურის და ლაბორატორიის არსებობა, მაშინ როგორ უნდა მოაწყოს და რა მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს?
საბჭოს წევრის მეორე შეკითხვა ეხება მე-6 რეკომენდაციას და მისი თქმით, საინტერესო იქნება ორივე მხარის პოზიციის დაფიქსირება. „სამეცნიერო პუბლიკაციების სტატიების გამოქვეყნება სავალდებულო გახდეს ყველა დოქტორანტისთვის“ - თუ არსებობს ასეთი ჩანაწერი დოქტორანტის დებულებაში რომ ეს არ არის სავალდებულო ყველასთვის. ასევე ექსპერტს დაუსვა შეკითხვა, თუ რომელ სამეცნიერო ბაზებში გულისხმობს, რომელში უნდა ჰქონდეს ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რამე სპეციფიკური ხომ არ არსებობს ვეტერინარიის მიმართულებით რომ ეს დააკონკრეტონ.
ექსპერტთა თავმჯდომარემ გიორგი მელაშვილმა უპასუხა, რომ ასეთი სპეციფიური რეესტრი არ არსებობს ვეტერინარებისთვის, იმიტომ, რომ ვეტერინარია არ არის აბსტრაქტული და ყველაფრისგან გამოყოფილი სფერო. ეს არის კომპლექსური კლინიკური მეცნიერება, რომელიც თავის თავში მოიცავს ბიოლოგიასაც, სტატისტიკასაც და უამრავ სხვა დისციპლინას, რომელიც დოქტორანტს შეიძლება ჰქონდეს საშუალება კვლევა ჩაატაროს და სტატია გამოაქვეყნოს. აქ იგი გულისხმობს შემდეგს: მითითებული იყო, რომ შესაძლებელია პატენტი აღიარდეს, როგორც სტატიის თანასწორი და ექსპერტები ფიქრობენ რომ ეს დაუშვებელია, იმიტომ რომ სტატია არის ღია და ყველასთვის ხელმისაწვდომი და ვერ მოთხოვენ რომ პატენტი ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი იმიტომ, რომ გარკვეულწილად შეიძლება საწარმოო საიდუმლოებას შეიცავდეს და შესაბამისად სამეცნიერო სფეროში ნაკლებად პატივსაცემია პატენტი, ვიდრე სამეცნიერო სტატია. ამიტომ აქვთ ექსპერტებს მითითებული რომ სტატიები გახდეს სავალდებულო და გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში, სადაც ყველას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს. სამეცნიერო მოღვაწეობაში იგულისხმება სტატიების გამოქვეყნება და ა.შ. ხოლო, რაც შეეხება კლინიკას და ინფრასტრუქტურას თქვა, რომ კლინიკა არის ერთ-ერთი მთავარი სამოღვაწეო არეალი ვეტერინარიის და საშუალება უნდა ჰქონდეს დაწესებულებას, რომ ადგილზე ჰქონდეს მინიმალური კლინიკური კვლევებისთვის ჩასატარებელი ადგილი, სადაც ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს. ამასთან კლინიკა არის შემთხვევების წყარო, ქეისების აღმოჩენის წყარო, რომელიც დაუფასებელი განძია სასწავლო დაწესებულებებისათვის. ექსპერტმა დასძინა, რომ ამ ყველაფერს იძახის თავისი პირადი გამოცდილებით და რასაც ის ასწავლის თავის საგანში, ქესების 80% საკუთარ თავზე აქვს გადახდენილი და არ არის ეს

ლიტერატურაში მოძიებული. ასეთი კარგი რაღაცის ქონა, მისი აზრით, აუცილებელია უსდ-სთვის. მითუმეტეს რომ დაწყებული აქვთ კლინიკის აწყობა და საკმაოდ კარგი ნაბიჯები აქვთ წინ გადადგმული .
დაწესებულების მხრიდან ლევან მაკარაძემ დაამატა, რომ კლინიკისათვის ნამდვილად გამოყოფილია ცალკე სივრცე , უნივერსიტეტის კორპუსიდან 100 მეტრში , სადაც უკვე განხორციელებულია საოპერაციო და გინეკოლოგიური ბლოკის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა. ეს გულისხმობს ამფითეატრული ტიპის აუდიტორიას წინ საოპერაციო სივრცით, სველი წერტილები, მათ შორის მისაღები, სტუდენტთა მისაღები, სპეცტანსაცმლის და ა.შ შესანახი ოთახები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების მოსვლიდან ძალიან მცირე პერიოდში უკვე დღეს დამონტაჟებულია საოპერაციო მაგიდა , ამავდროულად გამანათებელი და სრულყოფილი საოპერაციო ხელსაწყოების ნაკრები. აქედან გამომდინარე მათ შეუძლიათ საწყისი პათოლოგიის მასალის აღება, შემდგომი კვლევებისათვის. აქვე მან დაამატა, რომ პროგრამაში არსებობს ჩანაწერი, სადაც დოქტორანტს მოეთხოვება მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება და ამავდროულად მითითებულია, რომ ეს უნდა იყოს მაღალრეიტინგულ და რეფერირებად ჟურნალებში. ის, რომ იქ არ წერია იმპაქტ ფაქტორიანი ეს პრობლემა არაა , რადგან მაღალრეიტინგულ ჟურნალში სწორედ ამას მოიაზრებენ. რაც შეეხება პატენტს პრეპარატის მიღებას და წარმოებაში დანერგვას, დაწესებულებამ ჩაწერა რომ თუ მსგავსი ექნება დოქტორანტს შეიძლება საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდეს მისი ჩანაცვლება, თუნდაც ერთ-ერთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიის სახეზე. მისი აზრით, ეს ჩანაწერი იყო ინოვაცია რადგან დოქტორანტს და ახლაგაზრდა მკვლევარს საშუალება მისცემოდა, რომ თუ მან შექმნა პრეპარატი, რომლზეც მოეთხოვება რომ ესაა ფარმაკოლოგიური პროდუქტი და უნდა განახორციელოს კვლევები ფარმაკო სტატისტიკის კუთხით, გამოექვეყნებინა კვლევა მაღალრეიტინგულ ჟურნალში.
საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებით იკითხა, რომ, ჩანაწერი არის შემდეგი რომ ორი პუბლიკაცია უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში, სადაც ჩამოთვლილია ორი ჟურნალი შემდეგ კი წერია „და სხვა...“, ამის შემდეგ წერია „გამომდინარე ნაშრომის სპეციფიკიდან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეუძლია განსაზღვროს აუცილებელი სამეცნიერო პუბლიკაციების სხვა რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესაძლებლობა“. საბჭოს წევრი აღნიშნავს, რომ მისთვის ცოტა გაუგებარია ამ „და სხვა...“-ში რა მოიაზრება და ის სხვა ჟურნალები, რომელიც მეტნაკლებად ერთი დარგია, დარგიც რომ არ იყოს, ვთქვათ ‘’ნეიჩერში’’ რომ მოხერხდეს თქვენი დოქტორანტის სტატის გამოქვეყნება, ამას საბჭოსგან სჭირდება თანხმობა. შესაბამისად, ხომ არ ჯობია ამ შემთხვევაში მითითებული მინიმალური იმპაქტ ფაქტორი მიუთითოთ, რომელიც ამ პრობლემას სრულიად მოხსნიდა და საბჭოს გადასაწყვეტი არ იქნებოდა კონკრეტულ შემთხვევებში სად და რომელ ჟურნალს მიმართოს დოქტორანტმა .
მოცემულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მაკარაძემ უპასუხა რომ ვეტერინარიასთან გვაქვს საქმე და აქ ძალიან მნიშვნელოვანია სამხარეო პათოლოგიის გათვალისწინება, რომელიც ევროპისთვის და სხვადასხვა ქვეყნებისთვის არ არის საინტერესო. მაგალითად, ევროპაში დავადება ბრუცელოზი არ არის გავრცელებული, საქართველოში კი პირიქით. შესაძლებელია ისეთ მიმართულებებში მუშაობდნენ თემატურად, რომ შესაძლებელია აუცილებელი გახდეს მაგალითად ის საკითხი, რაც ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი, საბჭომ დართოს ნება რომ აგრარული უნივერისიტეტის მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოაქვეყნოს და არა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა იმ მოსაზებას, რომ ჩანაწერში გაკეთდეს ცვლილება და ჩაიწეროს „იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალი“. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილება მხოლოდ ამას უკავშირდება, რომ სამხარეო პათოლოგიის გათვალისწინებით შეიძლება იყოს ისეთი კვლევები, რომელიც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ შესაძლოა სხვა ჟურნალისთვის ის არ იყოს ისეთი აღიარებული და მისაღები .

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, თუ ვინ არიან დისერტაციის შემფასებლები, უნივერსიტეტის შიდა ექსპერტები აფასებენ თუ გარე ოპონენტები არიან?
მოცემულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ უპასუხა, რომ ეს ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი ფაკულტეტის შესაბამის დებულებაში. ამ დებულების მიხედვით, აუცილებელია იყოს აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის, მაგრამ, ამავე დროს დებულება ითვალისწინებს პერსონალის მოწვევას დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. მან აღნიშნა, რომ როგორც აუცილებელია თემის ხელმძღვანელს ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია და ეს დასტურდებოდეს შესაბამისი გამოცემებითა და მიმდინარე კვლევებით, რომელიც გამოცემულია, ზუსტად იგივე მოთხოვნა აქვს კომისიის წევრად მოწვევას და რეცენზენტების მოწვევას. რეცენზენტიც გახლავთ რამდენიმე, ერთი რეცენზენტი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნდა იყოს. ესაა აუცილებელი მოთხოვნა, ხოლო ორი რეცენზენტიც შესაძლებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სწორედ სიტყვა „შესაძლებელთა“ნ დაკავშირებით გაუჩნდა შეკითხვა. მან ასევე თქვა, რომ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარანტირებულად იყოს გარეშე შემფასებლის და არა აუცილებლად უცხოელის მონაწილეობა უზრუნველყოფილი, ასეთ შემთხვევაში, ჩანაწერში უნდა მიეთითოს არა სიტყვა „შეიძლება“, არამედ „უნდა“. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ თქვა , რომ ეს შენიშვნა მისაღებია მათთვის. ასევე, თქვა, რომ მათ ნამდვილად უწერიათ „შესაძლებელია“, უნივერსიტეტში არსებული რეალობიდან გამომდინარე როცა პირიქითაა შემთხვევა, ზოგჯერ ისეა კომისია, რომ არცერთი აკადემიური პერსონალია არ არის, სწორედ აქედან გამომდინარე იხელმძღვანელეს. ლევან მაკარაძემ დაამატა, რომ ამასთან დაკავშირებით დებულებაში მოცემულია 5 ჩანაწერი და ამ ხუთიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს, მათ შორის არის დისერტაციის ღირებული ნაწილის გადაგზავნა უცხოელ შემფასებელთან. სიტყვა „შეიძლება“ იმიტომ გაჩნდა რომ ამ ხუთიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული და არა ყველა.
ექსპერტმა გიორგი მელაშვილმა დაუზუსტა შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენელ ლევან მაკარაძეს, რომ ის აპირებს საოპერაციოს გაკეთებას რომელიც ამფითეატრის ტიპის იქნება, რაზეც ლევან მაკარაძემ უპასუხა, რომ დაწესებულებამ უკვე გააკეთა აღნიშნული. ექსპერტმა კი უთხრა, რომ არ ურჩევდა იმიტომ, რომ სადეზინფექციო ხარჯები არის კოლოსალური და სჯობდა სტანდარტული გაკეთებულიყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:17 სთ
დასრულების დრო: 17:01 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის'" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ვეტერინარიის'" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია პირობითი აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის ვადით.

რეკომენდაციები:

1. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელია სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსის დამატება.
2. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება სავალდებულო იყოს ნებისმიერი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე კანდიდატისთვის.
3. დასახვეწია კურსის - სამეცნიერო კვლევის მეთოდების შინაარსი, და შესაცვლელია მისი მიზნები და ამოცანები; კერძოდ, მისასადაგებელია პროგრამის სწავლის შედეგებს.
4. პროგრამა უნდა მოიცავდეს ბიოსტატისტიკის მეთოდების სწავლებას.
5. გასაუმჯობესებელია არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებული საკითხების შინაარსი, კერძოდ მისასადაგებელია დოქტორანტის-მკვლევარის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან; ყველა არჩევითი საგნის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული მოცემულ დარგში მიმდინარე კვლევების ტენდენციების და ე.წ. State of the Art. ამსახველი ინგლისურენოვანი სამეცნიერო მიმოხილვები.
6. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასება საჭიროებს გადახედვას და მოთხოვნების გამკაცრებას.
7. რეკომენდებულია, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება გახდეს სავალდებულო ყველა დოქტორანტისთვის და პროგრამაში არსებული ჩანაწერი რომ „პატენტი ან პრეპარატის წარმოებაში დანერგვა ენაცვლება აღნიშნულ მოთხოვნას“ ანულირდეს. ამასთან, ნაცვლად რეფერირებული ჟურნალისა, როგორც ამჟამად არის განსაზღვრული პროგრამით, დოქტორანტს ჰქონდეს ვალდებულება, გამოაქვეყნოს სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
8. რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარანტირებულად იყოს გარე შემფასებლის/შემფასებლების (არა აუცილებლად უცხოელის) მონაწილეობა უზრუნველყოფილი; ასეთ შემთხვევაში, ჩანაწერში უნდა მიეთითოს - არა „შეიძლება“, არამედ „უნდა“.
9. საჭიროა ვეტერინარული კლინიკის მოწყობა.
10. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულ იქნეს ხარჯები ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და რეკონსტრუქციისათვის, მათ შორის, ვეტერინარული კლინიკის მოწყობისთვის.
11. სრულად დაინერგოს სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმსჯელეთ კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებაზე (მაგალითად, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენება გამოკითხვის ნაცვლად);
12. უნივერსიტეტი ახორციელებს დოქტორანტთა მიერ პროგრამის დასრულების მაჩვენებელს, რაც მისასალმებელია სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, თუმცა, რეკომენდებულია, ანალიზი მოიცავდეს უფრო სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს დოქტორანტების პროგრესიის შესახებ - რამდენ

აქტიურ სემესტრში ასრულებენ დოქტორანტები სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას, რა არის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები და სხვა ინფორმაცია, რაც მოემსახურება სადოქტორო პროგრამების ხარისხის განვითარებას.

რჩევები:

1. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მეტი საერთაშორისო კავშირის დამყარება.
2. რადგან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სამანიპულაციო, ვივარიუმი და ა.შ) ვეტერინარიაში კვლევის ჩასატარებლად არ არის აღჭურვილი, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პირველი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით წლიურად არა უმეტეს 3 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა უნდა შეიქმნას. კვლევა მემორანდუმებით დაკავშირებული გარე ლაბორატორიებისა და პარტნიორი ინსტიტუტების ბაზაზე დაყრდნობით იგეგმება. კვლევის განხორციელების შემოთავაზებული მოდელი საჭიროებს გამოცდას, რასაც დრო სჭირდება.
3. პროგრამის განვითარების მიზნით პოტენციურმა სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, საკუთარი კვლევის სფეროს ინტერესებისა და კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე (რუბრიკით კვლევა) პერიოდულად უნდა გამოსცენ და განაახლონ შესაბამისი, პრიორიტეტული და ქვეყნის ვეტერინარიისთვის რელევანტური სამეცნიერო საკითხების მიმოხილვა და ამგვარად გააუმჯობესონ მომავალი დოქტორანტების ორიენტირებულობა ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე და ასევე გაზარდონ პროგრამის სარგებლიანობა ფართო საზოგადოებისთვის.
4. მემორანდუმით განსაზღვრულ პარტნიორ კვლევით ცენტრებთან დოქტორანტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის დაგეგმვისას უფრო დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული რომელ კონკრეტულ აქტივობებში იქნება დოქტორანტების ჩართვა მათ ბაზაზე შესაძლებელი. აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციის გაცვლა-შეთანხმება საჭიროებისამებრ რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რათა მაქსიმალურად ეფექტურად გამოვლინდეს შესრულებადი და მიზანშეწონილი საკვლევი საკითხების ნუსხა და დოქტორანტებმა არ დაკარგონ წლები მათ ძიებაში.
5. სადოქტორო საფეხურის კვლევითი პროექტებისთვის ვეტერინარიაში სასურველია გაიზარდოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება.
6. სასურველია ვეტერინარიის მიმართულებით არსებულ ან სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად დაიგეგმოს კვლევითი პროექტების მიმართულებები არსებული რესურსების გათვალისწინებით დაზუსტდეს და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს საკვლევი საკითხები (მაგალითად, კვლევის სათაური, კვლევის დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტი), რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში კვლევითი მიმართულებების გაძლიერებას.
7. სასურველია რომ პუბლიკაციების მომზადებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ან კურსები გახდეს სავალდებულო ხასიათის სადოქტორო საფეხურის ყველა სტუდენტისთვის, რათა მათი სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის ხარისხი ამაღლდეს.
8. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებში, სასურველია ყურადღება გამახვილდეს ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და ხელმძღვანელის მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობაზე.
9. სასურველია პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პედაგოგებმა გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა, მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.
10. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიური შეფასებები უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამის თუ მისი კომპონენტების ძლიერი და

გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდაციების წარმოდგენაზე, ვიდრე პროგრამის განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გაცემაზე.

1. **მეხუთე საკითხი.** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა Bachelor master integrated educational program of teacher training Primary studies of general education, level I
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.10.2022 N101997
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფე ხურის მასწავლებლის მომზადების ინ ტერგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (შემდგომი საგნების სწავლების უფლებით: ზოგადი განათლების საბაზისო და საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი:

		I-IV კლასი - ქართული ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ძირითადი); არჩევითი (აირჩიეთ ერთი): V-VI კლასები: მე და საზოგადოება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, „ჩვენი საქართველო“.)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის საგანი/საგანთა ჯგუფი • I-IV კლასი - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება (ძირითადი) დამატებითი (ერთის არჩევანით): • V –VI კლასი: მე და საზოგადოება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, “ჩვენი საქართველო“.
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

		Educational program of teacher training
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.01.2021 N30717
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი (აირჩიეთ ერთი) 1. ქართული ენა და ლიტერატურა 2. მათემატიკა 3. უცხო ენები (ინგლისური) 4. სოციალური მეცნიერებები (ისტორია) 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 6. ეთიკური განათლება 7. სპორტი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მილან პოლი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მას წილად ხვდა შეეფასებინა კლასტერში დაჯგუფებული ორი საგანმანათლებლო პროგრამა. მან თქვა, რომ ორი პროგრამა იყო წარდგენილი, ერთი საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ზოგადი განათლების მასწავლებელს ამზადებს და არის 300 კრედიტიანი, ხოლო მეორე არის მასწავლებლის გადამზადების პროგრამა, რომელიც არის 60 კრედიტიანი. ეს პროგრამები ხორციელდებოდა უკვე , მათგან პირველი პროგრამა შარშან დაიწყო 2021 წელს, ხოლო მეორე პროგრამის განხორციელება უფრო ადრე დაიწყო 2015 წელს და პირობითი აკრედიტაციით ხორცილდებოდა დღეის მდგომარეობით. ორივე პროგრამა აძლევდა სტუდენტებს შესაძლებლობას საბოლოო ჯამში უფროსი მასწავლებლის სტატუსი აეღოთ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოხარულია, რადგან წინა შეფასებების შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებამ უფრო მეტი ადამიანი ჩაერთო ამ პროგრამების გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებაში, რამაც ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო პროგრამების მთელ რიგ მნიშვნელოვან ასპექტებსა და კომპონენტებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა არის ლოგიკურად ორგანიზებული და სტრუქტურირებული და პასუხობს იმ თანამედროვე გამოწვევებს, რომლებიც დღეს უკავშირდება მასწავლებლად ყოფნას. ბოლოს კი დაამატა, რომ დიდი მნიშვნელოვნება აქვს ამ ორი პროგრამის განხორცილებას რეგიონისათვის, რადგან კურსდამთავრებულები უპირველეს ყოვლისა მოემსახურებიან საშუალო სკოლებს, რომლებიც ჩვენ გვხვდება რეგიონში . ზოგადად კლასტერის შეაფასების კუთხით საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება სტანდარტებთან მიმართებით შეაჯერა შემდეგნაირად: 1-ლი, მე-2, მე-3 სტანდარტები არის სრულ შესაბამისობაში, ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტები მეტწილ შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტებმა აღნიშნეს უკვე, რომ მნიშვნელოვანი საქმე იქნა გაწეული პროგრამის გაუმჯობესებისათვის, პროგრამის ძირითადი ნაწილები მართალია გაუმჯობესდა, თუმცა, ექსპერტებმა შეფასებისას მაინც აღმოაჩინეს ნაკლოვანებები. ექსპერტებმა ეს ყველაფერი განიხილეს თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და აცნობეს ამ ჩამონათვალის შესახებ და ეს ყველაფერი წარმოდგენილია დასკვნაში. პირველი რასაც საერთაშორისო ექსპერტმა ხაზი გაუსვა იყო ის, რომ პროგრამა და კლასტერი უმჯობესია უფრო გახსნილი იყოს ინტერნაციონალიზმის ასპექტების კუთხით, საერთაშორისო საზოგადოების ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა მან იმიტომ აღნიშნა ეს, რომ ხარვეზი უკავშირდება ინგლისური ენის ცოდნას მათ შორის პერსონალის მხრიდან და კარგი იქნება ამ მხრივ რაღაც ნაბიჯების გადადგმა თუნდაც გაცვლითი პროგრამების მხრივ . აქვე თქვა, რომ სასწავლო უნივერსიტეტთან აქვთ საქმე, რომლის მთავარი დანიშნულება არის სწავლება,

სასწავლო პროცესის წარმართვა, თუმცა, კარგი იქნებოდა გარკვეული ინიციატივების წამოყენება და ნაბიჯის წინ გადადგმა კვლევითი განვითარების მიმართულებით. კვლევითი მიმართულებით არის განვითარების პოტენციალი მათ შორის ამ პოტენციალში უნდა მოექცეს პერსონალი უპირველეს ყოვლისა და ამ კუთხით უნდა განვითარდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები. საერთო ჯამში, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები მაგრამ, მთლიანობაში პროგრამები დადებითად არის შეფასებული .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მეუფე სპირიდონი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს, პირველი ნაკადი კი მიიღეს 2009 წელს. უკვე 14 წელია ფუნქციონირებს უნივერსიტეტი და ამჟამად ჰყავთ 1200-ზე მეტი სტუდენტი და 2000-ზე მეტი სტუდენტი ჰყავთ დიპლომირებული. ეს უნივერისტეტი იმიტომ გაიხსნა რომ 2007 წლის გაზაფხულზე, რომ ზემო აჭარისგან და შესაბამისი სამსახურებისგან იყო ჩივილი, რომ ახალგაზრდობა მიდიოდა თურქეთში სასწავლებლად. მოიტანეს ჩანაწერი იმ საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებსაც ეს ბავშვები გაჰყავდა სასწავლებლად, სწავლება რა თქმა უნდა მიმდინარეობდა თურქულ ენაზე, შესაბამისად, უმრავლესობას ავიწყდებოდა ქართული. ვინაიდან რომ თურქეთში სწავლა ფინანსდებოდა სრულად და ამავდროულად ბავშვებს აძლევდნენ სტიპენდიას. პატრიარქმა გადაწყვიტა დაეარსებინა უფასო უნივერსიტეტი ზემო აჭარაში. ეს უნივერსიტეტი ახორცილებს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამას და პლიუს პროფესიულ სწავლებასაც. ამ უნივერსიტეტმა გააჩერა ახალგაზრდობის გადინება თურქეთში. მისი თქმით იყო ფაქტი , როცა 2013 წელს ერთ დღეს მოინათლა 1200 კაცი მოინათლა და გახდა პატრიარქის ნათლული. ამ უნივერსიტეტის დანიშნულებაა ზემო აჭარას მისცეს მასწავლებლის კადრები, რაც ამ მხარეში დიდ პრობლემას წარმოადგენს. ძალიან ბევრ სკოლაში ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მოღვაწეობს, ასევე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ბანკებში, გამგეობებში და ა.შ. რასაც აფინანსებს საპატრიარქო. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი რუსული ბაზა, სადაც განთავსებულია დიდი ტაძარი უნივერსიტეტის ეზოში. ასევე მან თქვა, რომ ხულოში სკოლა დააფუძნეს სკოლა, სადაც მათი კურსდამთავრებულები მუშაობენ.

ექსპერტმა დაამატა რომ, უკეთესი იქნებოდა უფრო მეტი უნარით აღჭურვილნი ყოფილიყვნენ სტუდენტები, მათ შორის ის, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებისა. საქმე ეხება არა იმას, რომ სწავლება წარიმართოს ინგლისურ ენაზე არამედ უბრალოდ იმას, რომ ინგლისური ენაც, ასევე დამატებით სცოდნოდათ მათ , რაც ექსპერტების კეთილი რჩევა და სურვილი იყო .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ირინა გველესიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ღრმა პატივისცემა გამოხატა მათ მიმართ. მან დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ინსტიტუციასთან, თუ რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით .

ასევე, საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ დაუსვა კითხვა ექსპერტს ორ რჩევასთან დაკავშირებით: პირველი რჩევა ეხება სავალდებულო ლიტერატურის განახლების საკითხს, სადაც უახლესი ვერსიები უნდა იყოს წარმოდგენილი. მას აინტერესებდა თუ რამდენ სასწავლო კურსში გამოიკვეთა ასეთი მდგომარეობა, რომ სავალდებულო ლიტერატურა განახლებას საჭიროებს და მეორე რჩევა, სადაც ლაპარაკია დამატებით მემორანდუმების გაფორმებაზე, რამდენად არის ახლანდელი, უკვე გაფორმებული მემორანდუმები საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამამ სრულფასოვნად იფუნქციონიროს და პრაქტიკული უნარების განვითარებაში ხელი შეუწყოს სტუდენტებს. მოცემულ შეკითხვაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან თოდაძემ უპასუხა, რომ როგორც ადგილზე გასაუბრებისას აღმოჩნდა, სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე ითვლიან რომელ მასწავლებელთან რამდენი სტუდენტი გადანაწილდება და როგორც თქვეს თითო მასწავლებელთან მიმაგრებულია 4 სტუდენტიანი ჯგუფი. დღევანდელი მონაცემებით

თუ რამდენი სტუდენტიც ჰყავთ სავსებით შესაძლებელია პრაქტიკის განხორციელება. სწორედ ამიტომ ჩაწერეს რჩევაში, რომ თუ სტუდენტების რაოდენობა მეტი იქნება შეიძლება ეს აღარ იყოს დამაკმაყოფილებელი . აქედან გამომდინარე ექსპერტები ფიქრობენ, რომ უკეთესი იქნებოდა მეტი რაოდენობის სკოლასთნ ურთიერობა, მაგრამ ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია . ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დიდ პროცენტი არ არის, ძირითადად მათემატიკის ნაწილში კლასიკური ლიტერატურა იყო ძველი გამოყენებული, თუმცა ასევე არის კომბინაცია. სილაბუსებში მათ ხვდებათ , როგორც ძველი კლასიკური ლიტერატურა, ასევე ახალი თანამედროვეც. ამიტომ სჯობს, რომ თანამედროვე გამოცემებით ჩანაცვლდეს .

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროცესი რომელიც მიმდინარეობდა აკრედიტაციის მსვლელობაში იყო ორიენტირებული განვითარებაზე, ყველა შეკითხვა, რომელიც ინტერვიუს დროს იქნა დასმული, ასევე მიგნებებიც, მათი ორგანიზაციისათვის წამახალისებელი იყო. აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში მისი თქმით კონსულტაციები და რეკომენდაციები ცენტრის მხრიდან ძალიან დაეხმარა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ სახელმძღვანელოები რომ განეხორციელებინათ აკრედიტაცია თანმიმდევრულად მოთხოვნების შესაბამისად კლასტერთან მიმართებაში და შეეცადნენ რომ ყველა რეკომენდცია გაეთვალისწინებინათ. მან დაამატა, რომ გუნდი რომელიც მუშაობს პროგრამაზე, შეიმუშავა რეკომენდაციის განხორცილების ღონისძიებები. 1-ლი რეკომენდაციის წინაპირობად განისაზღვრა მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად კვლევის დაგეგმვა და განხორცილება შეტანილია საბაკალავრო-საგანმანათლებლო -ინტერაქციული პროგრამის VI შედეგში, რომლის მიღწევისთვის განსაზღვრულია 30 კრედიტი. რაც შეეხება მასწავლებლის მომზადების პროგრამას, დარგობრივი მახასიათებელი არ ითვალისწინებს კვლევების დაგეგმვას და განხორცილების კომპეტენციას. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების საფუძველზე სასწავლო გეგმაში შეტანილია სასწავლო კურსი ''პედაგოგიური პრაქტიკული კვლევა '' 5 კრედიტი. აღნიშნული სასაწავლო კურსი შეტანილია წამყვანი და მენტორი მასწავლებლის აქტივობაში, რითაც სტუდენტი აიმაღლებს კარიერული წინსვლისთვის მზაობის ხარისხს. ამავდროულად, რეკომენდაციის შესაბამისად ცვლილება შევიდა პროგრამის IV სწავლის შედეგში - პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მახასიათებელს „უნარები"დაემატა ინდიკატორი შემდეგი ფორმულირებით: ''პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია პირადი პედაგოგიური კვლევის დაგეგმვა და განხორცილება პროფესიული განვითარებისთვის საჭიროების შესწავლის ანალიზის საფუძველზე ''. შედეგის მიღწევის ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტის მიერ პირადი პედაგოგიური პრაქტიკის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპების მოდელის შექმნა. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებამ აგრეთვე განაპირობა პროგრამით განსაზღვრული განზოგადოებული სწავლის შედეგის ინდიკატორის - შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა და დამოუკიდებლობის ხარისხით განხორცილების უკეთ გაზომვის შესაძლებლობა .

მან აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია ეხება იმას, რომ სწავლის შედეგები ფორმულირებული უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი გაზომვადობა. რაც შეეხება ამ რეკომენდაციის აღწერას, მან განმარტა, რომ ორივე პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება დაკავშირებულია დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციის სფეროსთან, რაც შესაბამისადაა გადატანილი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასებაში მითითებულია სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. რეკომენდაცია ასევე განხილული იქნა პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასკოლო პრაქტიკის მოწვეულ პერსონალთან ერთად. მან თქვა, რომ დაწესებულებამ გააცნობიერა, რომ პროგრამის განვითარებისთვის უკეთესი იქნება სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვის ხარისხის ასამაღლებლად დადგინდეს სამიზნე ნიშნული თითოეული სწავლის შედეგისთვის. ასევე, ჩატარდა საქმიანი შეხვედრა გაზომვადი ზმნების გამოყენებისთვის. ამასთანავე დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა შეესწავლა სასწავლო კურსის

სწავლის შედეგების გამოცდილება. მათ გაიზიარეს დეუსტოს უნივერსიტეტის გამოცდილება, სადაც შემუშავებული აქვთ კომპეტენციის შეფასების სისტემური მიდგომა და შედგენილი აქვთ შესაბამისი მატრიცა. აღნიშნული გამოცდილების მოდიფიცირებით შედგენილია განზოგადოებული სწავლის შედეგის ჯგუფში მუშაობის მატრიცა, რომელიც მოიცავს მიღწევის დონის ინდიკატორებს, მახასიათებლებს, შეფასების რუბრიკას დონეების მიხედვით. . აღნიშნული მატრიცა პილოტირებას გადის ორივე პროგრამაზე და შედეგების მიხედვით შეიტანენ ცვლილებებს. ასევე მობილიზებულნი არიან რეკომენდაციების შესრულების სხვა ეფექტური გზების ძიებისთვის, რომელიც ორივე პროგრამისთვის იქნება გამოსადეგი, ამასთან ,მიმდინარეობს მუშაობა სწავლის შედეგის ფორმულირებასთან დაკავშირებით .

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია ეხება ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ღიაობას, სტუდენტების მობილობაში ინვესტირებას, რათ მათ მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში. ამ ყველაფრისთვის კი დაწესებულებას დაგეგემილი აქვს ღონისძიებები. ამ დროისთვის უნივერისტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები საზღვარგარეთის შემდგომ უნივერსიტეტებთან, ესენია დონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოვიდიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მან დაამატა, რომ ასევე იგეგმება უნივერსიტეტებთანაც ურთიერთთანამშრომლობისა მემორანდუმების გაფორმება . და ასვე იგეგმება საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა .

მე-4 რეკომენდაცია ეხება ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას, რაც მეტად სასარგებლო იქნება ამ პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევების თუ საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ამ ყველაფერთან დაკავშირებითაც დაგეგმა დაწესებულებამ ღონისძიებები. მან თქვა, რომ ინგლისური ენის ცოდნისადმი ინტერესი პერსონალს აქვს , რისი გამოხატულებაც გახლავთ ინგლისურ ენაზე სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარება. ამ რეკომენდაციის შესასრულებლად დაიწყო ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების პროგრამის შემუშავება და მისი ამოქმედება დაიწყო 1 ნოემბრიდან.

ამჟამად მიმდინარეობს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის კუთხით არსებული ცოდნის დონისა თუ სხვა საჭიროებების შესწავლა, რომლის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება აქტივობები. სავარაუდოდ, ეს აქტივობები ორიენტირებული იქნება დარგობრივი ლექსიკის დაუფლებასა და ენის ფლობის დონის ამაღლებაზე . პროგრამის ხანგრძლივობა გახლავთ მინიმუმ ერთი წელი. ამ რეკომენდაციების შესრულებაზე კი მონიტორინგს ახორციელებს ინგლისური ენის სპეციალისტი თამილა ჩურკვეიძე .

მე-5 რეკომენდაცია ეხება იმას, რომ შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც გააკონტროლებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მან აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის შესასრულებლად მიმდინარეობს მუშაობა , წინასაწარი გათვლებით, იგეგმება რომ პერსონალმა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში წარმოადგინოს ოფიციალური ცნობა სხვა არსებული დატვირთვის შესახებ .

დაწესებულების წარმომადგენელმა შემდეგი რეკომენდაციის შესრულების შესახებ განაცხადა, რომ დაგეგმა ღონისძიებები. რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყოს თავისი აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით განსაკუთრებით მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებასა და სმეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის. ორივე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო წლებში გამოცემული მონოგრაფიების : რ.აბაშძე ‘’განვითარების და სწავლების თეორიები პრაქტიკაში ‘’ , ხ.ხალვაში ციფრული ინსტრუმენტების სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის , ა. ზოძე სოფლის ჩირაღდნი , ნ.ბასილაზე პედაგოდიკის ისტორია. ასევე გამოქვეყნებულია სტატიები საერთაშორისო ჟურნალებში. ამავდროულად

რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილია პერსონალი გაეცნოს მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების პირობებს, დაიწყოს შესაბამის სტატიებზე მუშაობა, ორი სტატია კი გამოქვეყნებაზე შეთანხმების პროცესშია.
რიგით მე-7 რეკომენდაცია ეხება, რომ დაწესებულებამ რეგულარულად შეუწყოს ხელი აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებამ დაისახა მიზნები. მათ რეკომენდაციის შესრულებისთვის დაიწყო მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. ორიენტირება გააკეთა პროფესიული განვითარების საჭიროების შესწავლაზე. საამისოდ ეფექტურად მიიჩნიეს დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების მეთოდის გამოყენება, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს .

1) დიაგნოსტიკის მონაცემების შეგროვება .
2) შეგროვებული მონაცემის ანალიზის საფუძველზე განსახორციელებელი საქმიანობის პროგნოზირება .
3) პროფესიული განვითარების მიღწევების დონის ანალიზი და წახალისება .

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა დიაგნოსტიკის ფორმა, თუ რა ფორმით მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება.
ასევე, მან დაამატა, რომ მათ აქვთ პროფესიული განვითარების მიღწეული დონის ანალიზი და წახალისება . წახალისების ფორმა კი გახლავთ სერთიფიკატი, მადლობის ბარათი , მატერიალური წახალისება, თანამდებობრივი კარიერის ზრდა და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხება იმას , რომ დაწესებულებამ რეგულარულად აწარმოოს პრატიკაში პერსონალის მუშაობის შეფასება და გაანალიზოს შეფასების შედეგები. შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს მათი სწავლების დატვირთვა და კვლევითი საქმიანობა. . ხარისხის სამსახურმა ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით შეიმუშავა პერსონალის თვითშეფასების რუბრიკა . ასევე უკვე დაგეგმილია პროექტი PROFFORMANE შედეგების მიხედვით საქმიანი შეხვედრების კვირეულის ჩატარება .
რაც შეეხება საქმიანობის შეხვედრების თემატიკას ესენი გახლავთ: მასწავლებლის შეფასების , განვითარებისა და წახალისების სტრატეგიები. პერსონალის მუშაობის შეფასების ინსტრუმენტების ფოკუსი და კითხვები, შეფასების სისტემის კრიტერიუმებზე დაფუძნებული კარგი პრაქტიკის მისამართები . 2023 წელს დაგეგმილია მონოგრაფიის მეთოდური სახელმძღვანელოების სალექციო კურსების დაფინანსების მოპოვების ვერსია არის ბიბლიოთეკაში. მომდევნო სასწავლო წელს სასწავლო და კვლევითი საქმიანობაში აქტიურად ჩართული პერსონალისთვის დაგეგმილია სამდღიანი ექსკურსია კაბადოკიაში და ორდღიანი ექსკურსია ტაო-კლარჯეთში. ამ რეკომენდაციის შესრულებაზე კი პასუხისმგებლები არიან პროფესორი ნ.შუშანიძე , ასოცირებულო პროფესორო ხ.ხალვაში .
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს არსებული მინაცემთა ბაზის სისტემური ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტებისათვის . რეკომენდაცია დაწესებულებამ მიიღო და შესრულა, მის შესრულებაზე კი პასუხისმგებელია დათა ნოზაძე.
მე-10 რეკომენდაცია ეხება 5.1 სტანდარტს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა ეს გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგ ეტაპზე. ამ რეკომენდაციის შესასრულებლად დაწესებულებამ შეიმუშავა პროგრამა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.
რაც შეეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებისა და სწავლა-სწავლების შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად სამუშაო შეხვედრების პროგრამას, ეს ყველაფერი წარმოდგენილი ჰქონდათ სლაიდზე 11 პუნქტად (რაც გაზიარებული ჰქონდათ ეკრანზე).
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება 11-ე რეკომენდაციას, ეხებოდა შრომის ბაზრის და კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მასწავლებელთა გადამზადებისთვის განკუთვნილი პროგრამების საჭიროებების სიღრმისეულ შესწავლას და ამავე მიზეზით გამოკითხვების ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავებას. ამ ყველაფრისთვის

კი დაიგეგმა შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევის პროექტის შემუშავება რესურსცენტრის აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა, საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობით. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაიწყო უკვე მუშობა, რესურსცენტრის ჩართულობით პროექტი დასრულდება სასწავლო წლის ბოლოს . მიღებული შედეგების შესაბამისად ცვლილებები შევა პროგრამის სხვადასხვა მიმართულებით. ასევე უახლოეს დღეებში დაიწყება მუშაობა პროექტებზე ქედისა და ხულოს მერიის წარმომადგენლობის მონაწილეობით .

რაც შეეხება ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ხარისხის სამსახური მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი მახასიათებლებით: რომელი დავალებით , როდის , ვის მიერ , სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგი , შეფასების რუბრიკა დავალების შეფასებისას , რომელი აქტივობაა ეფექტური. შემდეგ ხდება სწავლის შედეგების გაცნობა , გაღრმავება და განმტკიცება . ორივე პროგრამისთვის შეთავაზებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის მეთოდები, უნარები სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, რაც მოცემული იყო მეოთხე დანართში .

მე-12 რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების აკადემიური მიღწევების ანალიზის შეფასებას ყოველ სემესტრში, რადგან ეს შეიძლება გახდეს საფუძველი არსებითი ცვლილებებისათვის , როგორიცაა სასწავლო კურსის შინაარსის შეცვლა სწავლებისა და შეფასების მეთოდების შეფასების კრიტერიუმების შეცვლა და ასე შემდეგ. რაც შეეხება საკითხს როგორ მოხდება ამ ყველაფრის განხორციელება , დაწესებულებამ შეიმუშავა გეგმა, რომ სტუდენტის აკადემიური მიღწევების ანალიზი ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება, რომლის საფუძველზე გამოვლენილ წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია. აქვე მან აღნიშნა , რომ წარმატებული სწავლის შედეგთან ერთად სტიპენდიის დანიშვნის წინაპირობაა სტუდენტის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. რეკომენდაციის შესასრულებლად შეიქმნა ჯგუფი ადმინისტრაციის წარმომადგენლის ე. გელენიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მუშაობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შესახებ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ფორმის განვითარებაზე, რათა პროგრამებში ამ მიმართულებით შესატანი ცვლილება იყოს სანდო და სასარგებლო, სტუდენტის მიერ აკადემიური მიღწევების განვითარებაზე ორიენტირებული .

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, თუ როგორ ხდება აქტიური კვლევის პროცესის უზრუნველყოფა 300 კრედიტიან პროგრამაში.

მოცემულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ, კვლევას დათმობილი აქვს 30 კრედიტი, აქ გათვალისწინებულია განათლების სფეროში კვლევის მეთოდები, უახლესი ლიტერატურის საფუძველზე ხდება და პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასაც ითვალისწინებს და ბოლო გახლავთ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:58 სთ
დასრულების დრო: 18:22 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვის საკითხი .

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" პროგრამას და ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2025 წლის 01 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება პროგრამის სწავლის შედეგებში, როგორც ამას ის უკვე გეგმავს. (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა);
2. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის გახსნა, სტუდენტების მობილობაში ინვესტირება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.
3. უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამების განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.
4. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის კონტროლისთვის, რაც მოიცავს მათ დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც.
5. უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი მის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით, მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისათვის და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.
6. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებული სამეცნიერო ბაზები იყოს სისტემატურად ხელმისაწვდომი აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები), რომ მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს უკეთ ფორმულირება სწავლა-სწავლების შეფასების შედეგების (გაზომვადი ზმნების გამოყენება); ეს გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგ ეტაპებზე.
8. რეკომენდირებულია, რომ ჩატარდეს ბაზრის სიღრმისეული კვლევა და პროგრამების საჭიროებების კვლევა მასწავლებლების მომზადების მიზნით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის. და, უნდა განვითარდეს ჩართული მხარეების გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტი, იგივე მიზნისთვის.
9. რეკომენდირებულია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზი გაკეთდეს ყოველ სემესტრში, რადგან ეს შესაძლებელია გახდეს ფუნდამენტი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, რაც უნდა განხორციელდეს, როგორიც არის სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლისა და შეფასების მეთოდების ან შეფასების ფორმების ცვლილება და ა.შ.

რჩევები:

1. განიხილეთ პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების შესაძლებლობა.
2. ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს უახლესი ვერსიებით.

3. უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს. აშკარაა, რომ უკეთესი იქნება სტუდენტებისთვის, თუკი მეტი ისეთი სკოლა ექნებათ, სადაც მათი პრაქტიკული აქტივობები განხორციელდება.
4. სილაბუსებში შეტანილი შეფასების ზოგიერთი გრაფა ზედმეტად დეტალურია. ზოგიერთ გრაფაში მითითებულია რამდენიმე კრიტერიუმისთვის მინიჭებული 0,5 ქულა. ეს გრაფები ზედმეტად დეტალური და გასაგებად რთული ჩანს. რჩევა იქნება, ეს გრაფები გაამარტივოთ და ნაკლებ დეტალური გახადოთ.
5. ორივე პროგრამისთვის მიზანშეწონილია, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ ჩაიწეროს შემოსავლის ყველა პოტენციური წყარო და ხარჯების ყველა კომპონენტი.
6. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.
7. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რათა შეიმუშაოს უფრო ეფექტური და უფრო ადვილად აღქმადი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა/სწავლების შესაფასებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომს ხდომა დახურულად გ ამოცხადდა 18:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით